

# “საქართველოს ‘კოლანდიური დაავადება’ შეეყარა!”

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 19 მაისი, № 20, 2008

მთელი მსოფლიო დოლარის მახეშია გაბმული. უარს იტყვის, დაიდუპება, მის გაუფასურებას ჩაჰყვება და მაინც დაიდუპება. როგორც პროფესორი ლადო პაპავა ამბობს, ამერიკის ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ეკონომიკა „ხურდა ფულივით“ კი გამოიყურება, მაგრამ დოლარის მყისიერი გაუფასურების შემთხვევაში უკეთესი დღე არც ჩვენ გველოდება. ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის, მოვლენები სწორედ რუსული სცენარით წარიმართოს და ამერიკამ დაშლის პროცესი საკუთარ ტყავზეც გამოცადოს.

– სხვათა შორის, ე.წ. “დოლარის მახეში” მხოლოდ საქართველო კი არა, მთელი მსოფლიოა გაბმული. ეს წმინდა წყლის ამერიკული ფენომენია და იმ პოლიტიკის შედეგი გახლავთ, რომელსაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ატარებს – ძალიან დიდი ხარჯები წავიდა საომარ მოქმედებებში, ანტიტერორისტულ ოპერაციებსა და სხვა სამშვიდობო ღონისძიებებზე. ამავე დროს, ამერიკაში წარმოიქმნა დასაქმების პრობლემა, წარმოების ტემპებიც საგრძნობლად დაეცა და რადგანაც ამის შედეგად სესხების დაბრუნება გაჭირდა, საბანკო სფეროშიც გარკვეული რყევები დაიწყო. თავისდროზე კლინტონმა ბუშს აღმავლობის მდგომარეობაში მყოფი ბიუჯეტი ჩააბარა, მაგრამ ამჟამად ბიუჯეტი ძალზედ დეფიციტურია. ასეთ პირობებში ინფლაციური ტვირთი ყოველდღიურად იზრდება, ეკონომიკას განვითარება უჭირს და შედეგად ვიღებთ საკმაოდ სერიოზულ კრიზისს. ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საპროცენტო განაკვეთიც კი დასწია, რათა ეკონომიკის განვითარებას სტიმული მიეცეს. ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, ვინ მოვა ამერიკის სათავეში, ჰილარი კლინტონი, ბარაკ ობამა თუ ჯონ მაკკეინი. ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანამ საომარი და მილიტარისტული კამპანია ძველებურად აღარ უნდა გააგრძელოს. ჩემი აზრით, თუ პრეზიდენტი მაკკეინი გახდება ბუშის პოლიტიკა არ შეიცვლება.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: დოლარის კრახი მსოფლიოში დღეს არავის აწყობს.

**- არც რუსეთს?**

- არც რუსეთს, რადგან ნებისმიერ კერძო კომპანიას თუ მსხვილ ფინანსურ კორპორაციას აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი დოლარებში აქვს განთავსებული. ასე რომ, დოლარის კრახი მათივე კრახსაც ნიშნავს. მართალია, რუსეთში და არიან ძალები, რომლებიც აშშ-ის დასუსტებაზე ოცნებობენ და ზოგიერთი ამერიკაშიც აცხადებს, ჩინეთის ეკონომიკა საკმაოდ ძლიერდებაო, მაგრამ დოლარის ჩაძირვა თვით ჩინეთსაც კი არ აწყობს.

**- დაეუშვათ, ამერიკული დოლარი ბოლომდე ჩაიძირა, ამ შემთხვევაში რა მოხდება?**

- სხვათა შორის, ასეთი სცენარი რუსებს უკვე აქვთ აღწერილი, საკმაოდ სერიოზული გამოკვლევა ჩაატარეს.

**- რაკი გამოიკვლიეს, რუსებს გეგმაც ექნებათ.**

- არ ვიცი, შეიძლება ჟირინოვსკის დონეზე რაღაც გეგმა არსებობს კიდევ, მაგრამ მე მხოლოდ იმ გამოკვლევას ვასახელებ, რომელსაც ვიცნობ. თუკი დოლარი ბოლომდე ჩაიძირა, ჩათვალეთ, რომ მთელი მსოფლიოს ეკონომიკა კრახის წინაშე აღმოჩნდება.

**- თვითონ ამერიკას რა ელოდება, დაშლა?**

- მკითხაობის დონეზე ვერაფერს გეტყვით, ამ შემთხვევაში რუსეთიც დაზარალდება, ჩინეთიც და ევროპაც, ჩვენნარი მცირე ზომის ქვეყნები კი უხეშად რომ ვთქვათ „ხურდაში“ მოჰყვებიან.

**- რუსებმა კონკრეტულად რა სცენარი აღწერეს?**

- ისინი წერენ, რომ ამერიკის ეკონომიკა “საპნის ბუშტივით” არის, რომელიც შეიძლება გასკდეს და მთელმა მსოფლიომ დოლარზე უარი თქვას. დოლარზე უარის თქმა მართლაც დამღუპველი იქნება, რადგანაც მისი მთელი მასა ამერიკაში დაბრუნდება, სამომხმარებლო ბაზარს გადაავსებს და ქვეყანას ინფლაცია წააღებავს. თუმცა ანალიტიკოსების მტკიცებით, მსოფლიო სხვა ვალუტაზე გადასვლას დიდი ზარალის გარეშე ვერ მოასწრებს, უამრავი საფინანსო ინსტიტუტი უცებ გაკოტრდება.

- ბატონო ლადო, ჯორჯ სოროსმა განაცხადა, ამერიკის ეკონომიკას ყაველი უკვე გაუვიდა, მომავალი ჩინეთისააო. როგორ ფიქრობთ, ცნობილ მილიარდერს რაღაც ახალი ჩანაფიქრი აქვს?

– სოროსი ძალიან მაღალი დონის მოთამაშეა, თუმცა, ვანგა მაინც არ გახლავთ. მას აქვს თავისი გათვლები, შეხედულებები, ინტერესები, მაგრამ ისეთი ძალა ნამდვილად არ გააჩნია, ამერიკის ეკონომიკას დაუპირისპირდეს. უბრალოდ, სოროსს აქვს ამბიციური მოთხოვნილება და შესაძლებლობებიც, რომ მცირე ზომის ქვეყნებში მოვლენები თავისი შეხედულებების მიხედვით წარმართოს. ჩინეთის ეკონომიკა რომ მზარდი და პერსპექტიულია, ამაზე ამერიკელი ანალიტიკოსებიც მსჯელობენ, მაგრამ ერთ კაცს, თუნდაც ჯორჯ სოროსს, დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ ბევრი არაფერი შეუძლია. რაც შეეხება ჩვენს ბედკრულ სამშობლოს, რომლის ეკონომიკაც დოლარზე ძალიან სერიოზულად არის მიბმული, სამწუხაროდ, მსოფლიოში მიმდინარე დოლარის დევალვაცია ქართული ფენომენითაც არის დამძიმებული. მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: საქართველოს ეკონომიკას ვარდების რევოლუციის შემდეგ „ჰოლანდიური დაავადება“ დაემართა. მკითხველებს შევახსენებ, რომ ამ დაავადების ეფექტი პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, როდესაც ჰოლანდიას ბუნებრივი აირის მარაგი აღმოაჩნდა და უცხოეთში გაყიდვა დაიწყო. ქვეყანაში დოლარის დიდი რაოდენობით შესვლამ მაშინდელი გულდენის გაუფასურება გამოიწვია. შედეგად სხვა პროდუქციის ექსპორტი წამგებიანი გამოდგა. რაკი გაზის გატანამ სხვა საექსპორტო პოტენციალი შეზღუდა, ეს ჰოლანდიის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ ამ დაავადებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, უცხოური ვალუტის შემოდინების მიზეზი რა იქნება – გაზი, ნავთობი თუ სხვა რამ. სხვათა შორის, ამ დაავადების მიზეზი ბრაზილიაში ყავის ექსპორტია, ხოლო ეგვიპტეში კი – ტურიზმი.

– ახლა ვფიქრობ და ვერ ვიხსენებ, ჩვენ რა გაგვაქვს ისეთი, რომლის გამოც ქართული ეკონომიკა დაავადდა. შეიძლება, ამის მიზეზად უცხოეთში გადახვეწილი ადამიანები დავასახელოთ, რომლებიც საკუთარ ოჯახებს ფულს უგზავნიან?

– ჩვენთან დოლარის გაუფასურება და ლარის გამყარება ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო, ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი – თუ გახსოვთ, როგორც კი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, დაიწყო მასობრივი დაჭერები. ყოფილ ჩინოვნიკებს, რომლებსაც ფული დოლარებში ჰქონდათ შენახული, აიძულებდნენ, თავისუფლების საფასურად ბიუჯეტის თუ ბიუჯეტგარეშე ფონდების სასარგებლოდ თანხები გადაეხადათ. ისინი ფულის ბაზარზე გავიდნენ, დოლარით ლარი იყიდეს და გადაიხადეს; ამან ეროვნულ

ვალუტაზე მოთხოვნა გაზარდა. ამას დაემატა ფინანსური წესრიგის დამყარება – მეწარმე, რომელიც საკუთარ სიმდიდრეს დოლარებში ინახავდა და გადასახადს საერთოდ არ იხდიდა, უცებ ლარზე ჩამოეკიდა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ოთხჯერ გაიზარდა, უხეშად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლარზე მოთხოვნაც დაახლოებით ამდენჯერვე გაზარდილა. ახლა გადავხედოთ პრივატიზაციის პროცესს – შემოდის უცხოელი ინვესტორი, შემოაქვს დოლარი, ცვლის ლარზე და იხდის ამა თუ იმ ობიექტის ღირებულებას. ახლა ამ ყველაფერს დავუმატოთ ის მიზეზი, რომელიც თქვენ უკვე ახსენეთ და მივიღებთ ზუსტად იმ შედეგს, რაც უკვე გვაქვს.

**– კი, ბატონო, ლარზე მოთხოვნა გაიზარდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ შუშა კიტრი რა შუაშია, რატომ გაძვირდა?**

– ეს კარგი შეკითხვაა და ვეცდები, გასაგებად აგიხსნათ: როგორც მოგახსენეთ, ქვეყანაში შემოვიდა დოლარის დიდი მასა, მაგრამ ლარი იგივე რაოდენობისა დარჩა. თუკი ეროვნული ვალუტა სწრაფად მყარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპორტი საერთოდ ჩერდება, რაც მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო – ლარის გამყარება მცოცავ რეჟიმში გადაიყვანა, ანუ შემოსული დოლარის ნაწილი თვითონვე შეიძინა და რეზერვში გაუშვა. თუკი ვარდების რევოლუციამდე რეზერვი 200 მილიონი იყო, შარშან მილიარდნახევარს გადააჭარბა. კი, ბატონო, ეროვნული ბანკი დოლარს კი ყიდულობს, მაგრამ ამაშიც ხომ ლარს იყენებს? აი, აქ უკვე ქართული ფულის მასა იზრდება და თქვენი ნახსენები კიტრიც ძვირდება.

**– შეიძლება, რომ დოლარი ლართან მიმართებაში ერთი-ერთზე ჩამოვიდეს?**

– ერთი-ერთზე შეიძლება ჩამოვიდეს, მაგრამ ეს მყისიერად არ უნდა მოხდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ერთადერთი ქვეყანა არა ვართ, რომელსაც „ჰოლანდიური დაავადება“ სჭირს. მაგალითად, ასევეა დაავადებული ნორვეგიისა და აზერბაიჯანის ეკონომიკა, მაგრამ ისინი მას წარმატებით უმკლავდებიან – როგორც წესი, ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო უშვებს ფასიან ქაღალდებს, რათა ფულის ზედმეტი მასა მიმოქცევიდან ამოიღოს. თუმცა ჩვენს შემთხვევაში ეს საკმარისი არ იქნება – მთავრობამ მინიმუმამდე უნდა შეამციროს სოციალური პროგრამები.

**– კი, მაგრამ ეს სოციალური პროგრამები ხომ ბიუჯეტშია გაწერილი?**

– მე ვგულისხმობ ე.წ. დასაქმების პროგრამებს. როდესაც ერთი-ორი ადამიანის დასაქმებაში მილიონებს ვიხდით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ფულის ამხელა მასა პირდაპირ ბაზარზე მოხვდება, 150 თუ 200 ლარს ბანკში არავინ წაიღებს. ზოგიერთ ეკონომისტს რომ ჰკითხოთ, ვაუჩერების დარიგება ინფლაციას ხელს არ უწყობსო, მაგრამ ეს სრული უცოდინრობაა. ვაუჩერის უკან აუცილებლად დგას საბიუჯეტო თანხა, რომელიც ამა თუ იმ კომპანიას ერიცხება. რა მნიშვნელობა აქვს, მე ფულს მოქალაქეს მივცემ და „თელასში“ ის მიიტანს თუ პირდაპირ ამ ორგანიზაციას გადავურიცხავ? შეიძლება დასაქმების პროგრამა და ვაუჩერის გაცემა ცალ-ცალკე ბევრს არაფრად ეჩვენება, მაგრამ ჯამში დიდი მასა გამოდის. ამასთან, ძალიან ცუდია, როცა ჩვენს ხელისუფლებას პენსიონერები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდება და მუდმივად არ ზრუნავს. სხვათა შორის, პენსიებისა თუ ხელფასების გაზრდასაც თავისი პერიოდები აქვს, მაგალითად, ამისთვის საუკეთესო დროდ შემოდგომა ითვლება – ვინაიდან მოსავალი მეტია, ბაზარზე საქონლის მიწოდება იზრდება, ფასები იკლებს და ინფლაციის დონეც შედარებით უმნიშვნელოა.

– **მიხეილ სააკაშვილმა გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა იცის?**

– მე 2005 წელს სააკაშვილს პირადად შევხვდი და ვთხოვე, რომ შეექმნა ეკონომიკური საბჭო, სადაც მხოლოდ ეკონომისტები გაერთიანდებოდნენ, ხოლო მთავრობის წევრები სხდომებს პრეზიდენტის შეხვედრებისამებრ დაესწრებოდნენ. მინდოდა, პრეზიდენტს რეალური ინფორმაცია ჰქონოდა იმის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება. სხვათა შორის, იმ შეხვედრიდან ძალიან კმაყოფილი გამოვედი, სააკაშვილმა მითხრა: ასეთი საბჭოს შექმნა აუცილებლად მჭირდება და სულ მცირე, თვეში ორჯერ მაინც უნდა შევიკრიბოთო. მესამე დღეს გამოიცა მისი განკარგულება, შეიქმნა საბჭო, მაგრამ დღემდე ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი.

– **შეხვედრა საერთოდ არ გამართულა?**

– ერთხელ გაიმართა, 2005 წლის მარტის შუა რიცხვებში, საკმაოდ საინტერესო იყო, მაგრამ ერთი ისეთი პიროვნება გვესწრებოდა, უკვე აღარ მიკვირს, შემდგომში რომ აღარ შევიკრიბეთ.

– **ასეთი ვინ გესწრებოდათ?**

– არა, გვარსა და ზომას ვერ დავასახელებ.

– ააა... მივხვდი, ეს კახა ბენდუქიძე იქნებოდა.

– საბჭოს წევრებს იმის ამბიცია არ გვაქვს, რომ ყველაზე ჭკვიანები ვართ, მაგრამ ქვეყნისთვის კარგი იქნება თუ პრეზიდენტს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მისივე ქვეყნის ეკონომისტები რას ფიქრობენ. სხვათა შორის, ამ საბჭოს წევრები ფორმალურად დღესაც არიან: რომან გოცირიძე, ირაკლი კოვზანაძე, მიხეილ ჯიბუტი, გიორგი წერეთელი და სხვები. პრეზიდენტს შეუძლია, ეკონომისტებთან შეხვედრები ხვალიდანვე განაახლოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სანამ მთავრობაში ის კაცი ჰყავს, რომლის გვარსაც მე შეგნებით არ ვასახელებ და თქვენ მაინც ხვდებით, ამ მხრივ არაფერი გამოვა. იცით, რატომ? ჩვენ მიხეილ სააკაშვილს აუცილებლად ვეტყვით: დასაქმების პროგრამები შეცდომაა, რკინიგზის გაყიდვა შეცდომაა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბუნებრივი სიმდიდრის გაყიდვა შეცდომაა, ეროვნული ბანკის დაკნინება შეცდომაა... ეს კი არც იმას აწვობს ვისი გვარის დასახელებასაც, ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, შეგნებულად გავუბრვივარ, და, ალბათ, არც – მიხეილ სააკაშვილს.

– **ორიოდე დღის წინათ სააკაშვილმა ისევ გაიმეორა, საქართველო სინგაპურად და დუბაიდ უნდა გადავაქციო, უახოეს ხანში 100-სართულიანი სახლების მშენებლობას ვიწყებთო.**

– დუბაის შემდეგ ბახრეინი არ უხსენებია?

– არა, ამჯერად სინგაპურზე ჩაიციკლა.

– პრეზიდენტს დუბაი და სინგაპური უყვარს, ხოლო პრემიერ-მინისტრს – ბახრეინი. მე მინდა, მათ შევახსენო, რომ არც ერთი მათგანი ევროპაში არ მდებარეობს. თუკი ჩვენ ევროკავშირზე ვოცნებობთ და ნატოში შესვლა გვინდა, ბახრეინი რა შუაშია?

– **გამაგეგებინონ, რატომ მაინც და მაინც ბახრეინი?**

– რატომ უნდა გაგაგებინონ, თვითონ ხომ კარგად იციან? სამწუხაროდ, მათთვის ევროპა მხოლოდ ფსევდოფასეულობაა; როდესაც ევროკავშირი ამბობს, შრომის კოდექსი შეცვალეთ და მიიღეთ ისეთი, სადაც დაქირავებულის ინტერესები იქნება გათვალისწინებულიო, რატომ ჩუმდებიან?

– **ეგ თქვენ უფრო უკეთესად გეცოდინებათ.**

– უარს იმიტომ ამბობენ, რომ ეს მოდელი სინგაპურში მოქმედ კანონთან ძალიან ახლოს არის. მთავრობა მუშაობს პრინციპით: “ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს”. ხმამაღლა აცხადებს, ევროპისკენ მივდივარო, სინამდვილეში კი ბაძავს სინგაპურს. ასეთივე მექანიზმები ავსტრალიასა თუ

ახალ ზეღანდიაშიც გამოიყენება, სადაც საკმაოდ ლიბერალური პოლიტიკა ტარდება დამქირავებლის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, იმ კაცს, გვარს რომ არ ვასახელებ, აქვს ასეთი ახსნა: ევროკავშირში დღეს არ შევდივართ, მანამდე ეკონომიკა განვავითაროთ.

– როდესაც დაქირავებულს ყველა უფლება ჩამორთმეული აქვს და სამსახურიდან უპრაგონოდ აგდებენ, ამ შემთხვევაში ეკონომიკა უკეთესად ვითარდება?

– ესენი ცდილობენ, ე.წ. “ლიბერალური” შრომის კოდექსით ინვესტორები მოიზიდონ, ამაში ლოგიკა მართლაც არსებობს, მაგრამ ეს იმ კაცის ლოგიკაა, რომელსაც საკუთარი ხალხი სძულს, მისთვის ადამიანები მხოლოდ ჭანჭიკები არიან. ამ შემთხვევაში ოქროს შუალედია მოსაძებნი: საქართველოში შემოსულ ნებისმიერ ინვესტორს დასაქმებულების მიმართ ვალდებულებები უნდა გააჩნდეს. მათი მიდგომა ეკონომიკის განვითარებას ხელს კი უწყობს, მაგრამ ხალხს აუბედურებს. აი, ეს გახლავთ სინგაპურიზმით, თუ ბახრეინიზმით გატაცების არსი!

**გელა ზედელაშვილი**